

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი და კრიტერიუმები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ წარმოებს მისი დაცვა. დასრულებული დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას. მას უნდა ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე.

ქვემოთ მოყვანილ ფორმებში თითოეული კრიტერიუმი ფასდება „0-5“ ქულით შემდეგი სქემით: 0 - არ შეესაბამება; 1 - ნაწილობრივ შეესაბამება; 2 - არსებითად შეესაბამება, თუმცა არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები; 3 - არსებითად შეესაბამება, თუმცა არის მცირე ნაკლოვანებები; 4 - შეესაბამება; 5 - სრულიად შეესაბამება.

საექსპერტო კომისიის შეფასება მიიღება წევრების მიერ აღნიშნული კრიტერიუმებით მიღებული ცალკეული შეფასებების (მაქსიმუმ 20 ქულა) არითმეტიკული საშუალოთი.

რეცენზენტების შეფასება მიიღება რეცენზენტთა მიერ აღნიშნული კრიტერიუმებით მიღებული ცალკეული შეფასებების (მაქსიმუმ 40 ქულა) არითმეტიკული საშუალოთი დისერტაციის დაცვის კომისიის შეფასება მიიღება წევრების მიერ აღნიშნული კრიტერიუმებით მიღებული ცალკეული შეფასებების (მაქსიმუმ 40 ქულა) არითმეტიკული საშუალოთი

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება მიიღება, შემდეგი კომპონენტების შეკრებით: ექსპერტთა შეფასების (მაქსიმუმ 20 ქულა), რეცენზენტთა შეფასებისა (მაქსიმუმ 40 ქულა) და სადისერტაციო კომისიის შეფასების (მაქსიმუმ 40 ქულა) ქულათა ჯამი საბოლოო შეფასების მაქსიმალური ქულაა 100.

ექსპერტთა შეფასების კრიტერიუმები

- სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა (მასალის განაწილება, თანმიმდევრულობა, მასალის სისტემატიზაცია ...) (მაქს. 5 ქ)
- საკვლევი თემის აქტუალობა და ნაშრომის სამეცნიერო სიახლე. (მაქს. 5 ქ)
- მასალის ინფორმაციულობა, კვლევის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა (მაქს. 5 ქ)
- აზრის გადმოცემის ლაკონურობა, ნაშრომის ენობრივი მხარე, გამართულობა, ციტირების ტექნიკა (მაქს. 5 ქ)

რეცენზენტთა შეფასების კრიტერიუმები

- საკვლევი თემის აქტუალობა (მაქს. 5 ქ)
- ადეკვატური წყაროებისა და ლიტერატურის გამოყენება. (მაქს. 5 ქ)
- ადეკვატური კვლევის მეთოდის გამოყენება, კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა (მაქს. 5 ქ)
- საკუთარი არგუმენტაცია, ანალიზი, მსჯელობის თანმიმდევრულობა (მაქს. 5 ქ)
- სიახლის დასაბუთება (მაქს. 5 ქ)
- დასკვნის ადეკვატურობა და დასაბუთების დამაჯერებლობა (მაქს. 5 ქ)
- ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, გამოყენებადობა (მაქს. 5 ქ)
- დასმული საკითხის ამოწურვადობა/პრობლემის გადაჭრის დონე (მაქს. 5 ქ)

კომისიის წევრთა შეფასების კრიტერიუმები

- საკვლევი თემის აქტუალობა (მაქს. 5 ქ)
- ნაშრომის სამეცნიერო სიახლე (მაქს. 5 ქ)
- გამოყენებული ლიტერატურისა და წყარო-ების ადეკვატურობა(მაქს. 5 ქ)
- კვლევის მეთოდოლოგიის ადეკვატურობა (მაქს. 5 ქ)
- სიახლის დასაბუთება და დასკვნების დამაჯერებლობა (მაქს. 5 ქ)
- ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა (მაქს. 5 ქ)
- ნაშრომის ძირითად დებულებათა პრეზენტაციის ადეკვატურობა (მაქს. 5 ქ)
- კითხვებზე პასუხების ადეკვატურობა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება (მაქს. 5 ქ)